# შრომითი რესურსები, როგორც საინვესტიციო გადაწყვეტილებების საფუძველი

ნათელა ჯანელიძე
აწსუ-ს ასისტენტ პროფესორი
E-mail: janelidzenatia82@gmail.com

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ადამიანურ რესურსში განხორციელებული ინვესტირების რამდენიმე ეტაპი.

ინვესტირების საწყისი ეტაპი - მუცლად ყოფნის პერიოდიდან დაბადებამდე, რაც უფრო ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი საკვებით იკვებება ფეხმძიმე ქალი, ცხოვრობს მშვიდ, უსაფრთხო გარემოში, დროულად იტარებს სამედიცინო გამოკვლევებს ფეხმძიმობამდე დაფეხმძიმობის პერიოდში, მით უფრო მეტია ჯანმრთელი ბავშვის დაბადების ალბათობა, რაც ამცირებს დაავადების რისკს და დაბადების შემდგომ სამკურნალო ხარჯებს.

ინვესტირება სკოლამდელ და სასკოლო განათლებაში - სკოლაში მიღებული კარგი განათლება იძლევა იმის შანსს, რომ ახალგაზრდამ სწავლა გააგრძელოს მაღალკვალიფიციურ სასწავლებელში სახელმწიფო ან კერძო დაფინანსების ხარჯზე.

ინვესტირება უმაღლეს განათლებაში, პროფესიულ დაოსტატებაში - რაც შეიძლება უკეთესი ცხოვრების და საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდის საფუძველი გახდეს.

სოციალური ინვესტიციები უნდა მოხმარდეს სამუშაო ძალის კვალიფიციურ მომზადებას, ქვეყნისათვის პრიორიტეტული დარგების, ოცდამეერთე საუკუნის მაღალი სტანდარტების შესაბამისობის კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიული უნარების ფორმირებას, რაც ეკონომიკური ზრდის და მეურნეობის ყველა დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორს წარმოადგენს.

მსოფლიოში მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა აღიარებული, სოციალური ეკონომიკა კი ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკად. ამასთან, მეცნიერებაში და პოლიტიკაში მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ჩამოყალიბდა. თანამედროვე ეპოქაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანის მიმართ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დამოკიდებულება.

კონკურენციისა და გლობალიზაციის დონის ზრდასთან ერთად, მეურნეობის ტექნიკური დონე განიცდის ცვლილებას, ინერგება ახალი ტექნოლოგიები, რითაც ხდება საწარმოების და სამუშაო ადგილების ლიკვიდაცია და შექმნა. განმსაზვრელ ფაქტორად გვევლინება შრომითი და ტექნოლოგიური რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები.

ადამიანური რესურსი მისი საწარმოო გამოცდილებით არის საწარმოო ძალის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც გავლენას ახდენს მეურნეობრიობის რეგიონული დონის ტერიტორიულ ორგანიზაციაზე, საწარმოო და არასაწარმოო სფეროს დარგების სტრუქტურის ფორმირებაზე, წარმოების მოცემული დონის სპეციალიზაციაზე და კონცენტრაციაზე. საწარმოო ძალების განვითარება ხელს უწყობს ადამიანური რესურსის ლოკალური რეზერვების მობილიზებას ეროვნულ მეურნეობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში დასაქმების დისპროპორციის აღმოფხვრა, სოფელ ადგილებში მცხოვრებთა შრომითი რესურსების დაფარული რეზერვების და ქალთა შრომის გამოყენება.

საქართველოში შრომის ლოკალური რეზერვები ფლობენ მრავალ თავისებურებას, რაც მოითხოვს სპეციფიკური სამუშაო ადგილების შექმნას და შრომითი პროცესის ფორმების სრულყოფას, სამუშაო ძალის თავისებურებების შესაბამისად.

ადამიანურ რესურსში განხორციელებული ინვესტირება შეიძლება დავყოთ რამდენიმე ეტაპად.

ინვესტირების საწყისი ეტაპი - მუცლად ყოფნის პერიოდიდან დაბადებამდე, რაც უფრო ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი საკვებით იკვებება ფეხმძიმე ქალი, ცხოვრობს მშვიდ, უსაფრთხო გარემოში, დროულად იტარებს სამედიცინო გამოკვლევებს ფეხმძიმობამდე დაფეხმძიმობის პერიოდში, მით უფრო მეტია ჯანმრთელი ბავშვის დაბადების ალბათობა, რაც ამცირებს დაავადების რისკს და დაბადების შემდგომ

სამკურნალო ხარჯებს.

ინვესტირება სკოლამდელ და სასკოლო განათლებაში - სკოლაში მიღებული კარგი განათლება იძლევა იმის შანსს, რომ ახალგაზრდამ სწავლა გააგრძელოს მაღალკვალიფიციურ სასწავლებელში სახელმწიფო ან კერძო დაფინანსების ხარჯზე.

ინვესტირება უმაღლეს განათლებაში, პროფესიულ დაოსტატებაში - რაც შეიძლება უკეთესი ცხოვრების და საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდის საფუძველი გახდეს.

ინვესტირების ამ ეტაპების სათანადო დონის გავლის შემდეგ, ადამიანური რესურსის მაღალეფექტური შანსი იზრდება. ადამიანური რესურსის კვლავწარმოების ძირითადი პარამეტრებია: მოსახლეობის ცხოვრების სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის განათლების დონე, მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, დასაქმების თანაფარდობა საწარმოო და არასაწარმოო სფეროებში, ცხოვრების დონე და სოციალური სფეროს განვითარების დონე. ამ მახასიათებლების მნიშვნელობა აისახება შემდეგი მაჩვენებლებით:

ადამიანის ასაკი არის ბუნებრივი საფუძველი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანური რესურსის კვლავწარმოების დემოგრაფიულ და მიგრაციულ მახასიათებლებზე, მისი დასაქმების მაჩვენებლებზე.

სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა გავლენას ახდენს დასაქმების პროფესიულ და დარგობრივ სტრუქტურაზე, მიგრაციული პროცესის ინტენსივობაზე, სამუშაო ძალის დამაგრებაზე.

შრომითი აქტივობის დონე, წარმოებაში მონაწილეობის ხარისხი, ასაკისა და სქესის მიხედვით მოსახლეობის მობილობის სხვადასხვაობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მომუშავეების მომზადება, ობიექტური პირობების შექმნა სამუშაო ადგილზე დასამაგრებლად.

დასაქმებული მოსახლეობის სტრუქტურა განათლების დონის მიხედვით, გამოხატავს მოთხოვნას სამუშაო ძალაზე, რომელსაც აქვს მომზადების მაღალი პროფესიული და საგანმანათლებლო დონე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურსი-ეს არის შრომის უნარის მქონე მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ფლობს შრომითი საქმიანობისათვის საჭირო ფიზიკურ და ინტელექტუალურ ჩვევებს და შეუძლია აწარმოოს მატერიალური დოვლათი ან გაწიოს მომსახურება. ე. ი. ადამიანური რესურსი თავის თავში მოიცავს ერთი მხრივ იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავებული არიან ეკონომიკაში, მეორე მხრივ ადამიანებს, რომლებსაც არ შესწევთ უნარი მუშაობისა.

ეკონომიკის დარგების და საწარმოს საკუთრების ფორმის მიხედვით ადამიანური რესურსის განაწილება ასახვას პოვებს ქვეყნის შრომითი რესურსების ბალანსში. შრომითი რესურსების შესწავლის პრაქტიკა საქართველოში, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, წარმატებით იყენებდა ე.წ. საბალანსო მეთოდს. ადმინისტრაციული რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით დგებოდა შრომითი რესურსების კრებსითი ბალანსი. უნდა ითქვას, რომ იგი მორგებული იყო მაშინდელ სტატისტიკურ აღრიცხვას და საკმარისად ნათელ სურათს იძლეოდა რეგიონში (ქალაქში, ადმინისტრაციულ რაიონში) შრომითი რესურსების რაოდენობისა და მათი დარგობრივ-ტერიტორიული განაწილების შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომითი რესურსების ბალანსებს ჯერ კიდევ მეტ-ნაკლები წარმატებით იყენებენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ან მის ცალკეულ რეგიონებში. შინამეურნეობათა გამოკვლევებს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სტატისტიკური აღრიცხვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. გამოკვლევა მეტად საჭირო ინფორმაციას იძლევა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, დემოგრაფიული ინდიკატორების, მოსახლეობის შემოსავლების, ეკონომიკური სტატუსის, დასაქმების, აგრარული აქტიურობის, სიღარიბის, კვების პროდუქტების მოხმარებისა და ფულადი ხარჯების შესახებ, რომელიც ცალცალკე დეტალურ ჭრილშია მოცემული. მასალა შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ანალიზისათვის ფასდაუდებელია, რასაც მკვლევარები ხშირად იყენებენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილებისა და დასაქმების განხილვის დროს.

ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იმავე პერიოდის ერთი და იგივე ინდიკატორი მოსახლეობის აღწერის, სახელმწიფო და უწყებრივი სტატისტიკური სტრუქტურების და შინამეურნეობების მასალების მიხედვით მეტად განსხვავებულია. ეს, ცხადია გამომდინარეობს იმ ხარვეზიდან, რომელიც ამა თუ იმ გზით ინფორმაციის მიღების დროს მოსახლეობის აღრიცხვას ახასიათებს.

მეორე მხრივ, შრომითი რესურსების ფორმირების და დასაქმების შესასწავლად ყოველთვის საკმარისად არ გვაქვს ოფიციალური გზებით მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია. ხშირად ნაკლებადაა გამოხატული ეკონომიკური მოვლენის სოციალური მხარე,

ზოგი მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ კი, ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება, ან არასრულყოფილია. ასეთ შემთხვევაში დიდი წარმატებით იყენებენ შერჩევით გამოკვლევებს, რომელიც ხშირად კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევითაც ხდება.

90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ, მთელ საქართველოში აღმოცენდა მაღალი ინტენსიურობის შრომითი მიგრაციები, როგორც ქვეყნისა და რეგიონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იმის გამო, რომ შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობა და მისი წილი შრომით რესურსებში საგრძნობი იყო, მან ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის შრომით პოტენციალზე.

შრომითი რესურსების ანალიზი უნდა დაეფუძნოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მასალებს, შინამეურნეობათა გამოკვლევებს, სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოებში მიმდინარე აღრიცხვას, დასაქმების სტრუქტურებსა და სხვა ორგანიზაციებში არსებულ უწყებრივ სტატისტიკას. საკითხის მეცნიერული შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი გამოკვლევის ჩატარებას საერთაშორისო, აპრობირებული მეთოდიკების დახმარებით, რა თქმა უნდა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

შრომითი რესურსის ბალანსის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ 2010 წელს 2006 წელთან შედარებით დასაქმებული ადამიანური რესურსის რიცხვი 6,9%-ით შემცირდა, ხოლო 2014 წელს 2010 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 7,2 %-ით გაიზარდა.

ადამიანების რიცხოვნება, რომლებიც დაკავებული იყვნენ ეკონომიკაში 2006 წელს შეადგენდა 1 747,3 ათასს, ხოლო 2010 წელს იგივე მაჩვენებელი შეადგენს 1 628,1. დასაქმებულთა რიცხვი შემცირდა 119,2 ათასი კაცით ანუ 6,9%-ით. 2014 წელს დასაქმებულთა რიცხვი 1 745,2 ათას კაცს შეადგენდა რაც 117,1 ათასით აღემატება 2010 წლის მონაცემს ანუ 7,2%-ით არის გაზრდილი.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც დასაქმებული 2006 წელს შეადგენდა 1 747,3 ათასს კაცს; დასაქმების დონე 86,4%, ხოლო 2010 წელს-1 628,1 ათას კაცს; დასაქმების დონე 83,7%-ს. ე.ი. დასაქმებული ადამიანების რიცხვი შემცირდა 119,2 ათასი კაცით, რაც შეადგენს 2,7%-ს. დასაქმებულთა რაოდენობა 2014 წელს შეადგენს 1 745,2 ათას კაცს, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 87,6% შეადგენს, დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით გაზრდილია 117,1 ათასი კაცით, რაც შეადგენს 4,1%, ხოლო 2006 წელთან შედარებით იგივე მაჩვენებელი გაზრდილია 1,2%-ით.

2006 წელს უმუშვარი იყო 274,5 ათასი კაცი (13,6%), 2010 წელს-316,9 ათასი კაცი (16,3%); ე.ი. უმუშევარი ადამიანების რიცხვი გაიზარდა 37,6 ათასი კაცით ანუ 3,7%-ით. 2014 წლის მონაცემით უმუშევართა რაოდენობა შეადგენდა 246 ათას კაცს (12,4 %). უმუშევრობის დონე 2006 წელთან შედარებით შემცირებულია 1,2%-ით.

დასაქმებულების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით: კერძო სექტორში დასაქმებული გაცილებით მეტია, ვიდრე ვიდრე საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულები. 2006 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებული იყო - 145 063 კაცი, 2010 წელს -80 332 კაცი, 2014წელს- 56 248 კაცი. კერძო სექტორში 2006 წელს დასაქმებული იყო-343 883კაცი, 2010 წელს -317 473კაცი, 2014წელს -458 375კაცი. როგორც ვხედავთ, სახელმწიფო სექტორში დასაქმებული ადამიანების რიცხვი 2006 წლიდან 2010 წლამდე შემცირდა 49 993 კაცით, 75%-ით, 2010 წლიდან 2014 წლამთან შედარებით 70,1%-ით, 2006 წლიდან 2014 წლამდე 52,6%. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი თითქმის განახევრებულია. ხოლო კერძო სექტორში 2006 წლიდან 2010 წელთან შედარებით ფიქსირდება ზრდა 29%-ით, 2010 წლიდან 2014 წელთან შედარებით 47%-ით. რაც შეეხება 2006 წლიდან 2014 წლამდე პერიოდს ფიქსირდება 75 %-იანი ზრდა (114 492 კაცი).

აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის 80-იანი წლებისთვის სახელმწიფო საწარმოების დიდი რიცხვისათვის დამახასიათებელი იყო ზედმეტი მუშახელის არსებობა, რაც ეკონომიკის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ. 2006 წლიდან 2014 წლამდე შეინიშნება სახელმწიფო სექტორში დასაქმებული ადამიანების რიცხოვნობის მკვეთრი შემცირება, ხოლო აღნიშნული პერიოდიდან მნიშვნელოვნად მზარდი ტენდენციით ხასიათდება კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა.

დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2014 წელს შემდეგ სფეროებში: ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი-121 632კაცი, მრეწველობა-107 097კაცი, მშენებლობა-60 614კაცი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება-57 655კაცი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა-54 823კაცი, ოპერაციები უძრავი ქონებით და მომხმარებლისათვის მომ-

სახურების გაწევა-51 816 კაცი, კომუნალური სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა-23 803 კაცი, სასტუმრო და რესტორნები-24 963კაცი, განათლება-22 201კაცი, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა-9 605 კაცი, თევზჭერა-743 კაცი.

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (მლნ ლარი): ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი- 453,6, მრეწველობა-1416,4, მშენებლობა-343,5, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება-138,2, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა-878,2, ოპერაციები უძრავი ქონებით და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა-321,9, კომუნალური სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა-76,9, სასტუმრო და რესტორნები- 112,3, განათლება-42,7, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა-152,4, თევზჭერა-1,2.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები, როგორც დასაქმებულთა, ასევე ინვესტიციების ფიქსირებულ აქტივების მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა: ლიდერ პოზიციას დასაქმებილთა რაოდენობის მიხედვით იკავებს ისეთი დარგები როგორიცაა: ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, მრეწველობა და მშენებლობა. ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით: მრეწველობა, ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, მშენებლობა.

შრომითი რესურსის ბალანსის განხილვისას მნიშვნელოვანია მიგრაციის სალდოს მონაცემების განხილვა. აღნიშნული მაჩვენებელი (ათასი კაცი) 2006 წელს - 12,1-ია, 2010 წელს 18,1, 2014 წელს - 6,5. განსაკუთრებით მაღალია მირაციიც მაჩვენებელი 15-დან 30 წლამდე, რაც კიდევ უფრო ართულებს და ავლენს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ინვესტიციების აუცილებლობას, რომ არ მოხდეს, ან ნაკლებად მოხდეს ქვეყნიდან პოტენციური კვალიფიკაციური კადრების გადინება. არაოფიციალური მონაცემები სამწუხაროდ ბევრად უფრო დიდია. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენაბა 866 170 კაცია, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა 141 776-ია. მიუხედავად სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით არსებული მაჩვენებლისა, რის მიხედვითაც უმუშევრობის დონე 12,4% შეადგენს, პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება.

მატერიალური წარმოების ბევრ სფეროში წარმოიშობა ძირითადი პროფესიების და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების უკმარისობა. გამორიცხული არ არის, რომ წარმოიშობა შეუსაბამობა მომუშავეების მოთხოვნასა და შესასრულებელ სამუშაოს ხარისხს შორის. მნიშვნელოვანია სოციალური ინვესტიციები გათვალისწინებულ იქნას მოსახლეობის ფართო ფენებზე, რადგანაც ადამიანს წარმოებაში მისი შრომითი უნარის რაციონალურად გამოყენებამდე მომზადება და განათლების შეძენა ესაჭიროება. ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოება ითვალისწინებს ზოგადი და სპეციალურაი განათლების დინამიურ განვითარებას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე. ეს კი მოითხოვს შესაბამის თანხებს როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სახსრებიდან. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა არის ბაზა შემდგომში დაგროვებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის. სოციალური ინვესტიციები უნდა მოხმარდეს სამუშაო ძალის კვალიფიციურ მომზადებას, ქვეყნისათვის პრიორიტეტული დარგების (მაგ: სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები, ტურიზმი), ოცდამეერთე საუკუნის მაღალი სტანდარტების შესაბამისობის კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიული უნარების ფორმირებას, რაც ეკონომიკური ზრდის და მეურნეობის ყველა დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორს წარმოადგენს. გონივრულად განხორციელებული სოციალური ინვესტიციები რეალურად გამოიწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის ამაღლებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

ნადარეიშვილი ნ. დასაქმების რეგიონული პრობლემები საქართველოში. შრომათა კრებული გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები 27-28 მაისი, 2009.

ჯანელიძე ნ. სოციალური ინვესტირების თანამედროვე ფორმები საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2013 წელი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობა. მოძიებულია მის.: http://geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo 6.15.2015

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია 6.15.2015: http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2 წლის ანგარიში 2014 წელი. მოძიებულია 6.15.2015. მის.: http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=690

# THE BALANCE OF LABOR RESOURCES, AS THE BASIS FOR INVESTMENT DECISIONS

***NATELA JANELIDZE***
***Asisstant professor of Akaki Tsereteli State Univesity***
***E-mail: janelidzenatia82@gmail.com***

**Summary**

There are some stages of investment implemented in the human resources discussed in the article.

The initial stage of the investment – From the prenatal period to the birth, the more eco-friendly, healthy food she gets, lives in a peaceful, secure environment, has the relevant medical examination in before and after pregnancy period, the greater is the healthy child birth probabilities, which reduces the risk of post-birth treatment costs.

Investment in pre-school and school education - The good education received at school gives a chance to young people to enroll for a highly qualified educational institution with the public or private finances.

Investment in higher education, vocational skills - all of which could have a better life and eventually become the basis for economic growth.

Investment in higher education, vocational skills - all of which could have a better life and eventually become the basis for economic growth.

These investments must be used for the training of a qualified labor force, the country's priority sectors, professional training of the staff relevant to the twenty-first century high standards, professional skill formation, which represent the competitiveness factors of the economic growth at all levels.